

შპს აგროტრეიდიנג პლიუსი

ფინანსური ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული
წლისათვის

სარჩევი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	4
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	5
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	6
1. ზოგადი ნაწილი	6
2. მომზადების საფუძველი	6
3. გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა	7
4. ფულადი სახსრები.	12
5. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.	12
6. სასაქონლო მატერიალური ფასეულობები.	12
7. ძირითადი საშუალებები.	13
8. სავაჭრო ვალდებულებები.	13
9. მოკლევადიანი სესხი.	13
10. ამონაგები და რეალიზებული საქონლის თვითღირებულება.	14
11. ადმინისტრაციული ხარჯები.	14
12. ფინანსური შემოსავალი.	14
13. ფინანსური დანახარჯები.	14
14. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები.	15
15. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება.	15

შპს აგროტრეიდიგ პლიუსი

ფინანსური ანგარიშგება საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს (ლარში)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდის მდგომარეობით

(1 ლარი)

	შენიშვნა	31.12.2018	01.01.2018
აქტივები			
მიმდინარე აქტივები			
ფულადი სახსრები	4	59,885	329,272
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	5	1,931,744	2,055,626
სასაქონლო მატერიალური ფასეულობები	6	782,609	3,124,864
სულ მიმდინარე აქტივები		2,774,238	5,509,763
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	7	12,620	12,778
არამატერიალური აქტივები		700	700
სულ გრძელვადიანი აქტივები		13,320	13,478
სულ აქტივები		2,787,558	5,523,241
ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი			
მოკლევადიანი ვალდებულებები			
მოკლევადიანი სესხი	9	0	1,296,100
სავაჭრო ვალდებულებები	8	295,8416	3,289,240
მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება		98,386	87,896
დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოების მიმდინარე ნაწილი		190,200	219,680
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		3,247,002	4,892,916
გრძელვადიანი ვალდებულებები			
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		0	-
სულ ვალდებულებები		3,247,002	4,892,916
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი		50	50
გაუნაწილებელი მოგება/ზარალი		(459,494)	630,275
სულ საკუთარი კაპიტალი		(459,444)	630,325
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		2,787,558	5,523,241

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2019 წლის 07 სექტემბერს შემდეგ პირთა მიერ:

დირექტორი ----- გიორგი თათარაშვილი

მთ. ბუღალტერი ----- მალხაზ მაისურაძე

თანდართული შენიშვნები მე-6 დან 15-ე გვერდის ჩათვლით წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს აგროტრეიდინგ პლიუსი
 ფინანსური ანგარიშგება საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს
 (ლარში)

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდისთვის

(1 ლარი)

	შენიშვნა	2018
ამონაგები	10	3,851,707
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება		(3,646,710)
საერთო მოგება		204,998
სხვა შემოსავალი		3,200
ადმინისტრაციული ხარჯები	11	(637,844)
დადებითი საკურსო სხვაობა		146,624
ფინანსური შემოსავალი	12	5,434
უარყოფითი საკურსო სხვაობა		(104,509)
ფინანსური დანახარჯები	13	(77,397)
მოგება დაბეგვრამდე		(459,494)
მიმდინარე წლის მოგება/ზარალი		(459,494)

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2019 წლის 07 სექტემბერს შემდეგ პირთა მიერ:

დირექტორი ----- გიორგი თათარაშვილი

მთ. ბუღალტერი ----- მალხაზ მაისურაძე

შპს აგროტრეიდიგ პლიუსი

ფინანსური ანგარიშგება საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს (ლარში)

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდისთვის

(1 ლარი)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სხვა რეზერვები	სულ
ნაშთი 1 იანვარი 2018	50	630,275	-	630,325
საწესდებო კაპიტალის გაზრდა	-	-	-	-
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	-	(459,494)	-	(459,494)
განაწილებული დივიდენდი	-	(630,275)	-	(630,275)
ნაშთი 31 დეკემბერი 2018	50	(459,494)	-	(459,444)

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2019 წლის 07 სექტემბერს შემდეგ პირთა მიერ:

დირექტორი ----- გიორგი თათარაშვილი

მთ. ბუღალტერი ----- მალხაზ მაისურაძე

თანდართული შენიშვნები მე-6 დან 15-ე გვერდის ჩათვლით წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ნაწილი

შპს „აგროტრეიდინგ პლიუსი“ (შემდგომში – კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია დარეგისტრებულია 2010 წლის 30 სექტემბერს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. მისი საიდენტიფიკაციო კოდია - 400009012, იურიდიული მისამართი - საქართველო, თბილისი, ნაძალადევის რ-ნი, თ.ერისთავის ქ.2, კომპანია დარეგისტრებულია დღგ-ის გადამხდელად.

კომპანიის წილის მფლობელია:

მალხაზ ქაჯაია (პ/ნ 01030004314) -50%;

ზურაბ სანიკიძე (პ/ნ 01030005848)-50%.

კომპანიის დირექტორი საანგარიშგებო პერიოდში იყო მალხაზ ქაჯაია (პ/ნ 01030004314) ხოლო 2019 წლის 06 მაისის შემდეგ კომპანიის დირექტორი გახდა გიორგი თათარაშვილი (პ/ნ 01021001689).

კომპანიის ძირითადი ეკონომიკური საქმიანობაა სოფლის მეურნეობის პესტიციდების რეალიზაცია. კომპანია საანგარიშგებო პერიოდში სავაჭრო საქმიანობას ახორციელებდა ერთ ლოკაციაზე-ქ.თბილისი თ.ერისთავის ქ.2.

კომპანიას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, არ ჰყავს შვილობილი და მეკავშირე საწარმოები.

წესდების მიხედვით, საანგარიშგებო წელი გრძელდება 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

2. მომზადების საფუძველი

2018 წლის 1 იანვრიდან დაწყებული, კომპანიის ბუღალტრული აღრიცხვა და ფინანსური ანგარიშგება წარმოებს მსს ფასს-ის (ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი მცირე და საშუალო საწარმოებისათვის) მიხედვით. ამასთან, კომპანია წარმოადგენს მესამე კატეგორიის საწარმოს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს 2016 წლის 8 ივნისის კანონის თანახმად. აღნიშნული კანონიდან გამომდინარე, კომპანიას არ ევალება წლიური ფინანსური ანგარიშგების აუდიტი. კომპანია იყენებს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის

შპს აგროტრეიდინგ პლიუსი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს
(ლარში)

შესახებ“ კანონის მიერ დაწესებულ შეღავათს და არ წარადგენს შესადარის ინფორმაციას და ფულადი სახსრების მოძრაობის უწყისს.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის (იმის დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში) და პირვანდელი (ისტორიული) ღირებულების პრინციპის გათვალისწინებით. აღრიცხვა-ანგარიშგების ფუნდამენტური სააღრიცხვო პრინციპი - დარიცხვის მეთოდი დაცულია. სააღრიცხვო შეფასებები და ძირითადი დაშვებები მუდმივად გადაიხედება. სააღრიცხვო შეფასების ცვლილების აღიარება ხდება იმ პერიოდში, როდესაც ხდება შეფასებების გადახედვა და ასევე შესაბამის მომავალ პერიოდებში.

გათვალისწინებულია მსს ფასს-ის ძირითადი დაშვება - ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპი, რაც გულისხმობს, რომ კომპანიის მენეჯმენტი არ გეგმავს და არ მოელის, რომ მინიმუმ უახლოესი ერთი წლის განმავლობაში კომპანია შეწყვეტს ფუნქციონირებას, ან მოხდება მისი საქმიანობის მასშტაბის არსებითი შეზღუდვა. შესაბამისად, კომპანიის 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ამ დაშვების გათვალისწინებით, რაც გულისხმობს, რომ აქტივების რეალიზაცია/გასვლა და ვალდებულებების დაფარვა ხორციელდება ბიზნესის ჩვეულებრივი მსვლელობისას.

2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, გამოყენებულია ამ თარიღის მდგომარეობით მოქმედი მსს ფასს.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი ემთხვევა კალენდარულ წელს (1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე).

3.გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა

კომპანიის მიერ ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში გამოყენებული ძირითადი სააღრიცხო პოლიტიკა შედგება:

შემოსავლების აღიარება

შემოსავლების აღიარება ხდება საქონლის და მომსახურების გაყიდვიდან ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში მისაღები ან მიღებული თანხის სამართლიანი ღირებულებით, დარიცხვის მეთოდის შესაბამისად.

რეალიზებული საქონლის უკან დაბრუნება და ფასდათმობა აღიარებულია შემოსავლის შემცირების გზით, გაყიდვების აღიარებასთან ერთად.

საეჭვო მოთხოვნების აღიარება

კომპანიის საექვო მოთხოვნების სიდიდე განისაზღვრება ინდივიდუალურად თითოეული დებიტორული დავალიანების შესწავლის გზით. თუ დებიტორული დავალიანების წარმოშობიდან გასულია 3 წელი ან მეტი, ეს წარმოადგენს წინაპირობას მისი 100%-იანი გაუფასურებისათვის, თუმცა ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ხდება დამატებითი განსჯა, საჭიროა თუ არა მოთხოვნის გაუფასურების ანარიცხის აღიარება.

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულება ყოველი საანგარიშგებო პერიოდისთვის წარმოადგენს შემდეგი სიდიდეების ნეტო ღირებულებას:

(ა) თანხა, რომლითაც ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება შეფასებულია თავდაპირველი აღიარებისას;

(ბ) გამოკლებული ძირი თანხის დასაფარად გადახდილი თანხები;

(გ) მიმატებული ან გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაციის თანხა, რომელიც მიიღება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით თავდაპირველად აღიარებულ და დასაფარ თანხებს შორის განსხვავების მიმართ; და

(დ) გამოკლებული, ფინანსური აქტივის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალის ან უიმედო ვალის შემცირების თანხა (პირდაპირ, ან რეზერვების ანგარიშების გამოყენებით).

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები, რომლებსაც არ გააჩნია ნომინალური საპროცენტო განაკვეთი, დაკავშირებული არ არის ისეთ შეთანხმებასთან, რომელიც ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს და კლასიფიცირდება, როგორც მოკლევადიანი აქტივები ან მოკლევადიანი ვალდებულებები, თავდაპირველად შეფასდება არადისკონტირებული ღირებულებით. აქედან გამომდინარე, მათზე არ ვრცელდება ზემოაღნიშნული (გ) პუნქტის მოთხოვნა.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების (ან ფინანსური აქტივების, ან ფინანსური ვალდებულებების ჯგუფის) ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და საპროცენტო შემოსავლების ან ხარჯების შესაბამის პერიოდზე მიკუთვნების მეთოდი. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომლის მეშვეობით ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი ვადის ან, როდესაც შესაფერისია, უფრო მოკლე ვადის განმავლობაში მისაღები ან გადასახდელი სავარაუდო ფულადი სახსრები ზუსტად დისკონტირდება ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო

შპს აგროტრეიდინგ პლიუსი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს
(ლარში)

განაკვეთი უნდა განისაზღვროს ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებაზე დაყრდნობით, რომელიც მას გააჩნია საწყისი აღიარებისას. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის მიხედვით:

(ა) ფინანსური აქტივის (ვალდებულების) ამორტიზებული ღირებულება არის მომავალში მისაღები (გადასახდელი) ფულადი სახსრების დღევანდელი ღირებულება, რომელიც დისკონტირებულია ეფექტური საპროცენტო განაკვეთით; და

(ბ) პერიოდის საპროცენტო ხარჯი (შემოსავალი) ტოლია მოცემული პერიოდის ეფექტური საპროცენტო განაკვეთისა და ფინანსური ვალდებულების (აქტივის) საბალანსო ღირებულების ნამრავლის, რომელიც მას ჰქონდა პერიოდის დასაწყისში.

გარიგებები უცხოურ ვალუტაში

გარიგებები უცხოურ ვალუტაში კონვერტირდება კომპანიის შესაბამის ფუნქციონალურ ვალუტაში ტრანზაქციების განხორციელების დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მიერ დადგენილი ოფიციალური სავალუტო გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაიცვლება ფუნქციონალურ ვალუტაში, ამავე თარიღისთვის არსებული გაცვლითი კურსის მიხედვით. უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი არაფულადი აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც დაიანგარიშდება სამართლიანი ღირებულებით, კონვერტირდება ფუნქციონალურ ვალუტაში სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის დღისთვის არსებული ვალუტის გაცვლის კურსის მიხედვით. არაფულადი ერთეულები უცხოურ ვალუტაში, რომელიც გამოთვლილია ისტორიული ღირებულების საფუძველზე, გადაყვანილია ტრანზაქციის თარიღისთვის მოქმედი გაცვლითი კურსით. ვალუტის გადაფასებით გამოწვეული სავალუტო საკურსო სხვაობები აისახება პერიოდის მოგებაში ან ზარალში.

დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

თანამშრომელ პირთა გასამრჯელოები აღიარდება შესრულებული სამუშაოს საფუძველზე არადისკონტირებული ღირებულებით და შესაბამისად აისახება ხარჯებში. ასანაზღაურებელი თანხა აღიარდება მოკლევადიანი ვალდებულების სახით.

მარაგები

მარაგები აღირიცხება უწყვეტი მეთოდით. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ისინი შეფასებულია თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ბიზნესის ჩვეულებრივ პირობებში

საქმიანობისას არსებული აქტივის გასაყიდ ფასს გამოკლებული დანახარჯები, რომლებიც დაკავშირებულია აქტივის გაყიდვასთან. მარაგების ჩამოწერა ხდება სპეციფიკური იდენტიფიკაციის მეთოდის საშუალებით, თუ ეს შესაძლებელი და მიზანშეწონილია, ხოლო სხვა შემთხვევებში - საშუალო ფასთა მეთოდის გამოყენებით.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს კომპანიისთვის წარმოადგენს ფული სალაროში და ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე.

გრძელვადიანი აქტივები

ა) ძირითადი საშუალებების, საინვესტიციო ქონების და არამატერიალური აქტივების აღრიცხვისათვის გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

ბ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთისათვის გამოიყენება წრფივი მეთოდი. ამასთან, ცვეთის დარიცხვა იწყება იმ თვიდან, როდესაც ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გამოყენება დაიწყო, ხოლო იმ თვეში, როდესაც მოხდა ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გასვლა, ცვეთის დარიცხვა არ ხდება.

გ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთა ხდება საბალანსო და სალიკვიდაციო ნარჩენ ღირებულებებს შორის სხვაობიდან სასარგებლო სამსახურის ვადის გათვალისწინებით. თუ კონკრეტული ძირითადი საშუალებისთვის ან საინვესტიციო ქონებისთვის ნარჩენი სალიკვიდაციო ღირებულება განსაზღვრული არ არის, ის ჩაითვლება ნულის ტოლად, ხოლო თუ სასარგებლო სამსახურის ვადა არ არის დადგენილი, ცვეთის დარიცხვა ხდება შემდეგი წლიური საპროცენტო განაკვეთების მიხედვით:

კომპიუტერული ტექნიკა - 5-10 წელი;

სხვა ძირითადი საშუალებები - 2-5 წელი.

ე) არამატერიალური აქტივების ამორტიზაციისათვის გამოიყენება:

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა და ეს ვადა განსაზღვრულია, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი მათი სასარგებლო სამსახურის ვადის შესაბამისად;

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა, მაგრამ ეს ვადა ცალსახად განსაზღვრული არ არის, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი წლიური საპროცენტო განაკვეთით - 15%;

- არამატერიალური აქტივები განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადით არ ამორტიზდება.

შპს აგროტრეიდინგ პლიუსი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს (ლარში)

მენეჯმენტის მოსაზრებით, ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას არ არსებობს კრიტიკული გადაწყვეტილებები, რომელსაც შეუძლია გავლენა იქონიოს ფინანსური ანგარიშგების მუხლებში აღიარებულ თანხებზე და არ არსებობს ვარაუდები და შესაძლო გაურკვევლობები, რომელიც შეიძლება შეიცავდეს არსებითი კორექტირებების მნიშვნელოვან რისკებს მომავალი ფინანსური წლის შედეგებზე.

გადასახადები

2016 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის „ესტონური მოდელის“ სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე. კანონი ძალაშია საგადასახადო პერიოდებისთვის 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ყველა იურიდიული პირისთვის, გარდა ფინანსური დაწესებულებებისა (როგორც არის ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, საკრედიტო კავშირები და დადგენილი წესით რეგისტრირებული სესხის გამცემი სუბიექტები), რომლებისთვისაც კანონი მოგვიანებით შედის ძალაში (2023 წლის 1 იანვრიდან). კომპანიის დაბეგვრა მოგების გადასახადით ხდება „ესტონური მოდელის“ შესაბამისად.

ახალი საგადასახადო სისტემიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს, როგორც წესი, არ წარმოეშვებათ დროებითი სხვაობები კომპანიის საგადასახადო ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებებს შორის. შესაბამისად, 2017 წლიდან მათ არ აქვთ გადავადებული საგადასახადო აქტივები და გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულებები (გარდა იშვიათი გამონაკლისი შემთხვევებისა).

2017-2018 წლებში საქართველოში მოგების გადასახადის განაკვეთი 15%-ს შეადგენდა.

წარდგენის ვალუტა და ერთეულის სიზუსტე.

საქართველოს ეროვნულ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი, რომელიც არის კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა და აგრეთვე ვალუტა, რომელშიც არის წარმოდგენილი კომპანიის ფინანსური ანგარიშგება. ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია 1 (ერთი) ლარის სიზუსტით.

გაცვლითი სავალუტო კურსები

სავალუტო ფულადი მუხლებისათვის გამოყენებულია შემდეგი ოფიციალური გაცვლითი კურსები, დადგენილი საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ:

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

შპს აგროტრეიდინგ პლიუსი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს (ლარში)

1 USD=2.6468 ლარი;

1 EUR=3.0701 ლარი.

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=2.5922 ლარი;

1 EUR=3.1044 ლარი.

საშუალო სავალუტო გაცვლითი კურსი შეადგენდა:

2018 წელს: 1 USD=2.5345 ლარი;

1 EUR=2.9940 ლარი.

2017 წელს: 1 USD=2.5086 ლარი;

1 EUR=2.8596 ლარი.

4. ფულადი სახსრები.

ფული და ფულის ექვივალენტები შედგება:

	2018	2017
ნაღდი ფული ლარებში	6,214	85,121
ლარები ადგილობრივ საბანკო ანგარიშებზე	37,912	75,618
უცხოური ვალუტა ადგილობრივ ბანკებში	15,759	168,533
სულ	59,885	329,273

5. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.

სავაჭრო მოთხოვნები შედგება:

	2018	2017
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	1,437,400	1,436,042
სხვა მოთხოვნები	351,697	618,796
მიმწოდებელზე გადახდილი ავანსები	142,648	788
სულ	1,931,744	2,055,626

2018 წლის ბოლოსათვის, კომპანიას საექვო ვალები არ აქვს. გადაუხდელი მოთხოვნები არის საქართველოს რეზიდენტი იურიდიული და ფიზიკური პირების წინაშე.

6. სასაქონლო მატერიალური ფასეულობები.

მარაგები წარმოდგენილია გასაყიდად განკუთვნილი საქონლით:

2018	2017
------	------

შპს აგროტრეიდიგ პლიუსი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს (ლარში)

გასაყიდად განკუთვნილი საქონელი

782,609

3,124,864

სულ

782,609

3,124,864

7. ძირითადი საშუალებები.

ძირითადი საშუალებები შედგება:

	დაუმონტაჟებელი ძირ.საშ.	კომპიუტერული ტექნიკა	სხვა ძირითადი საშუალებები	სულ
ბალანსი 2018 წლის 1 იანვარი	10,936	762	7,114	18,812
შემოსვლა	-	1,525	-	1,525
გასვლა	-	-	-	-
ბალანსი 2018 წლის 31 დეკემბერი	10,936	2,286	7,114	20,336
დაგროვილი ცვეთა				
ბალანსი 2018 წლის 1 იანვარი	-	(597)	(5,437)	(6,034)
ცვეთის ხარჯი	-	(292)	(1,390)	(1,683)
გასული ძირითადი საშუალებების დაგროვილი ცვეთა	-	-	-	-
ბალანსი 2018 წლის 31 დეკემბერი	-	(889)	(6,827)	(7,716)
წმინდა საბალანსო ღირებულება				
ბალანსი 2018 წლის 1 იანვარი	10,936	165	1,677	12,778
ბალანსი 2018 წლის 31 დეკემბერი	10,936	1,398	286	12,620

კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკით, ძირითადი საშუალებების მიმართ გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

8. სავაჭრო ვალდებულებები.

სავაჭრო ვალდებულებები შედგება:

	2018	2017
მიწ.და მომსახ.წარმოქმნილი ვალდებულებები	2,848,573	3,182,736
მიღებული ავანსები	109,843	106,504
სულ	2,958,416	3,289,240

31.12.2018 წ. მდგომარეობით, კომპანიის ძირითად კრედიტორს წარმოადგენს საქონლის არარეზიდენტი მომწოდებელი რომლის დავალიანება შეადგენს 2 536 061 ლარს.

9. მოკლევადიანი სესხი.

2018 წლის ბოლოს კომპანიის სასესხო ვალდებულებები შედგება:

კონტრაგენტი	საპროცენტო განაკვეთი	ვალუტა	სესხის აღების თარიღი	დაფარვის თარიღი	მოკლევადიანი	მოკლევადიანი
					31.12.2018	01.01.2018
სს ვითიბი ბანკი ჯორჯია	9%	დოლარი	28.11.2017	26.11.2018	-	1,296,100
სულ					-	1,296,100

შპს აგროტრეიდინგ პლიუსი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს (ლარში)

10. ამონაგები და რეალიზებული საქონლის თვითღირებულება.

2018 წლებში, კომპანიის ამონაგები მთლიანად შედგებოდა საქონლის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლებიდან. რეალიზებული საქონლის თვითღირებულება დათვლილია საშუალო შეწონილი ფასების მეთოდის გამოყენებით.

11. ადმინისტრაციული ხარჯები.

კომპანიის 2018 წლის ადმინისტრაციული ხარჯები შედგება:

	2018
შრომის ანაზღაურება	160,415
იჯარა	21,083
საკანცელარიო ხარჯი	50
საფოსტო ხარჯი	308
კომპიუტერის ხარჯები	50
ბუღალტრული მომსახურება და სხვა საკონსულტაციო	15,324
სარეგისტრაციო ხარჯი	5,000
ძირითადი საშუალების ცვეთა	1,682
უიმედო მოთხოვნებთან დაკავშირებული ხარჯი	399,415
ქონების გადასახადი და სხვა საგადასახადო ხარჯი	127
საბანკო ხარჯები	34,390
სულ	637,844

12. ფინანსური შემოსავალი.

კომპანიის 2018 წლის ფინანსური შემოსავლები შედგება:

	2018
საპროცენტო შემოსავლები	(442)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	(4,992)
სულ	(5,434)

13. ფინანსური დანახარჯები.

კომპანიის 2018 წლის ფინანსური დანახარჯები შედგება:

	2018
საპროცენტო ხარჯები	75,222
საგადასახადო საურავები	28
სხვა არასაოპერაციო ხარჯები	2,147
სულ	77,397

შპს აგროტრეიდიგ პლიუსი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს
(ლარში)

14. დაკავშირებულ მხარეთა ტრანზაქციები.

განხორციელებული ტრანზაქციები დირექტორთან და პარტნიორთან:

	ტრანზაქციის ღირებულება 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდით	დაუფარავი ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდით
ხელფასი და სხვა სარგებელი	67,190	97,600
სულ	67,190	97,600

15. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება.

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ 2019 წლის 07 სექტემბერს.